10/11/2026

MES 4 26 0001636898

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.10.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 17:40
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, II, III, IV, V, VI, VII და IX საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო ხოლუაშვილი (VIII საკითხი)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო ხოლუაშვილი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი -;
5. **პეტრე ბაბილუა** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **მარიამ ხოფერია** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **ვალერიან გოგრონიძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **შალვა კელეპტრიშვილი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
9. **ლია სანოძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
10. **ხათუნა ლომაური** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
11. **ინგა დიასამიძე** – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ავთანდილ თავხელიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
13. **მაია ბარბაქაძე** – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
14. **ფრიდონ გოგიაშვილი** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **თინათინ გოგნაძე** – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
16. **თამარ მერაბიშვილი** – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
17. **თეა ნარეკლიშვილი** – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
18. **სალომე ტყეშელაშვილი** – სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
19. **ლევან ციცქიშვილი** – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20. **გიორგი წანაწყენიშვილი** – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
21. **ეკატერინე ჭალაგანიძე** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
22. **თამარ ხურცილავა** – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
23. **დავით ჯინჭარაძე** – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ანა ჯვახიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **გვანცა ძიძიგური -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

მარიამ დარბაიძე - ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
3. გოჩა ჩავლეშვილი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

1. მარინა ვაშაყმაძე - ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიისა და კომუნიკაციების სკოლის დეკანი;
2. ანა მაისურაძე - ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;
3. თამარ რაზმაძე - (ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის მენეჯერი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზაქარია ქიტიაშვილი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
2. ქეთევან ჭკუასელი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. დავით წამალაშვილი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;
4. ეფემია ხარაძე – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; 5.კახა გაბუნია – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. რუსუდან სანაძე – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
7. ივანე მინდაძე – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 8. ირმა გრძელიძე – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. იზაბელა პეტრიაშვილი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. ვლადიმერ ადეიშვილი – აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. იმერი ბასილაძე – აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის პროფესორი;
12. ლელა თავდგირიძე – ბსუ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი;
13. ლელა თურმანიძე – ბსუ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
14. ნინო ნახუცრიშვილი – თესაუ განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

15. ნინო მოდებაძე – თესაუ განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; 16. ლიკა მეძმარიაშვილი – დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკიდმცოდნეობა“ ხელმძღვანელი;
17. შოთა ფოთოლაშვილი – თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
18. ნინო ქიმერიძე – თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
19. დარეჯან გარდავაძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
20. მანანა მელიქიშვილი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
21. მარიამ ბაკაშვილი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
22. გიორგი ჭიჭინაძე – აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
23. ვლადიმერ ღლონტი – ბსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
24. სალომე თათულიშვილი – თესაუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა:
1. ფილიპ ბუილარი (Philippe Bouillard) – II საკითხი;
2. ბელა თინიკაშვილი – II საკითხი;
3. ია ნაცვლიშვილი – II, III საკითხები;
4. გიზო უჩაიძე – II საკითხი;
5. ადრიან ჯონ ჩაპლინ ჰედლენდი (Adrian John Chaplin Hadland) – III საკითხი;
6. დალი ოსეფაშვილი – III საკითხი;
7. ნინო ღაჭავა – III საკითხი;
8. დიანა მჭედლიშვილი – IV საკითხი;
9. ეკა ფიფია – V, VI, VII საკითხი;
10. ლელა ვანიშვილი – VIII საკითხი;
11. ანი ქვათაძე – VIII საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას I, II, III, IV, V, VI, VII და **IX** საკითხების განხილვისას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ, ხოლო **VIII საკითხზე -** ნინო ხოლუაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიის კვლევების და მულტიმედია წარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ანა ჯავახიშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე, დღის წესრიგიდან ამოღებულიყო მე-3 საკითხი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა და აღნიშნული საკითხის განხილვა გადატანილიყო აკრედიტაციის საბჭოს მომდევნო სხდომაზე.
ანა ჯავახიშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მომართვის თანახმად, 2026 წლის 26-27 ოქტომბერს დაწესებულებაში დაგეგმილი იყო სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2026 წლის 27 ოქტომბერს საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დრო შესაძლოა დამთხვეოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებს, რაც დაწესებულებას შეუქმნიდა დაბრკოლებას ორივე პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის თვალსაზრისით. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგში განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, შეიცვალა მეექვსე და მეშვიდე საკითხების განხილვის თანმიმდევრობა. მეექვსე საკითხად განისაზღვრა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული“ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა. მეშვიდე საკითხად განისაზღვრა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

ასევე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა გვანცა ძიძიგურმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს დამატებით განეხილა შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მილევად რეჟიმში მყოფი სტუდენტების მიერ სწავლის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების ვადის განსაზღვრის საკითხი.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ – ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მულტიმედია ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული“ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული“ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ამერიკისმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

მეორე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:
√არა კი

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა თამარ მერაბიშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პირველი და მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა გვანცა ძიძიგურმა საბჭოს წევრებს გააცნო შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს მომართვა "კერძო სამართლისა" და "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მილევად რეჟიმში მყოფი სტუდენტების მიერ სწავლის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე. გვანცა ძიძიგურმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2026 წლის 4 მაისის №4 დადგენილებით, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები გადავიდა მილევად რეჟიმში, რის გამოც დაწესებულებას ისინი არ წარუდგენია კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში. უნივერსიტეტის მომართვის თანახმად, აღნიშნულ პროგრამებზე ირიცხებიან დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტები, რომლებიც 2026 – 2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ასრულებენ პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო და სხვა სავალდებულო კომპონენტებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ითხოვს შესაძლებლობას, რომ იმ სტუდენტებმა, რომლებიც 2026–2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სრულად შეასრულებენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაასრულონ სწავლა და მიენიჭოთ შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში, არაუგვიანეს 2027 წლის 20 თებერვლისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა უნივერსიტეტის პოზიცია და განმარტა, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს მმართველი საბჭოს 2026 წლის 4 მაისის №4 დადგენილებით, უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარდგინების საფუძველზე, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები გადავიდა მილევად რეჟიმში. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის დაცვით, მიიღო გადაწყვეტილება სამართლის მიმართულებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ხსენებულ პროგრამებზე კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში სააკრედიტაციო განაცხადი არ წარდგენილა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლის დამამთავრებელ სემესტრში იმყოფებიან და 2026–2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში ასრულებენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო და სხვა სავალდებულო კომპონენტებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია სტუდენტების საუკეთესო ინტერესების დაცვა და მილევად რეჟიმში მყოფ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის დასრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დაასრულონ სწავლა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე და პროგრამებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის სრულად შესრულების შემთხვევაში, მიენიჭოთ შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა თხოვნით, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს მიეცეს შესაძლებლობა, "კერძო სამართლისა" და "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც 2026 – 2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სრულად შეასრულებენ შესაბამისი პროგრამებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოს სწავლის დასრულება და შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭება უნივერსიტეტის 2026–2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში, არაუგვიანეს 2027 წლის 20 თებერვლისა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული შესაძლებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და სწავლის დასრულების უფლების დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამების დასკვნით ეტაპზე იმყოფებიან და მათი სწავლის დასრულება შესაძლებელია მიმდინარე შემოდგომის სემესტრის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სთხოვა, მხედველობაში მიეღო წარმოდგენილი გარემოებები და უნივერსიტეტისთვის მიეცა შესაძლებლობა, მითითებულ ვადაში უზრუნველეყო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის დასრულება და პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში, მათთვის შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს შუამდგომლობა „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2027 წლის 20 თებერვალი) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს შუამდგომლობა და „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2027 წლის 20 თებერვალი) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს შუამდგომლობა „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2027 წლის 20 თებერვალი) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს შუამდგომლობა და „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2027 წლის 20 თებერვალი) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - სამოქალაქო ინჟინერია
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი
3. **სწავლების ენა** - ინგლისური
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** 0732 სამშენებლო და სამოქალაქო ინჟინერია
6. **კრედიტი** - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა
ინგა დიასამიძე - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
გიორგი წანაწყენიშვილი - როგორც ექსპერტი ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შეფასებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ფილიპ ბუილარმა (Phillipe Bouillard) აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ქართულენოვანი ვერსია უკვე ხორციელდებოდა, ხოლო აკრედიტაციის პროცესში შეფასდა პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის მიმართ დადებითი შეფასება ჰქონდა. პროგრამა ახალია და შეესაბამება ამერიკულ ASD (Allowable Strength Design / Allowable Stress Design) მიდგომას. აკრედიტაციის ხუთი სტანდარტიდან ოთხი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო ერთი - როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ფილიპ ბუილარის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა 22 რეკომენდაცია და 10 რჩევა, რომლებიც პროგრამის გაუმჯობესებასა და შემდგომ განვითარებაზეა ორიენტირებული. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც პროგრამის განხორციელების ენას უკავშირდებოდა. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი მაღალი პროფესიული კომპეტენციით გამოირჩევა, ვიზიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებული გარკვეული გამოწვევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის აღწერით - ანალიტიკურ ნაწილში ხაზგასმულია, რომ ინგლისურ ენას ძირითადად ფლობს თბილისში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული პერსონალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი დაინტერესდა, რა ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს უნივერსიტეტი ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დეტალურად გაეცნო ექსპერტთა დასკვნას და უმეტესწილად იზიარებს მასში წარმოდგენილ შეფასებებსა და მოსაზრებებს, თუმცა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ განმარტა, რომ სამოქალაქო ინჟინერია მრავალმხრივი დარგია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს. მისი თქმით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალი ძირითადად თბილისის ტექნიკური და სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან არის წარმოდგენილი და თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ამასთან, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის არიან მაგისტრები, რომლებიც კვალიფიკაციას საზღვარგარეთ იმაღლებენ და ეტაპობრივად ჩაერთვებიან პროგრამის განხორციელებაში. ვლადიმერ ღლონტმა დამატებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში ინსტიტუციურ დონეზე მოწესრიგებულია დედაქალაქიდან მოწვეული პროფესორების პროგრამის განხორციელებაში ჩართვის საკითხი. კერძოდ, უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებულია წინასწარი თანხმობის ხელშეკრულების ფორმა, რომლის საფუძველზეც აკადემიური პერსონალი ადასტურებს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პერსონალის პერიოდულად ბათუმში ჩასვლის ვალდებულება, რომლის შესახებაც თითოეული მოწვეული პირი წინასწარ არის ინფორმირებული. თავის მხრივ, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, მოწვეულ პერსონალს თითოეული საკონტაქტო საათი აუნაზღაუროს განსხვავებული ტარიფით, უზრუნველყოს საცხოვრებელი ადგილით და შესთავაზოს მოქნილი სამუშაო განრიგი. აღნიშნულ პირობებზე თანხმობას მოწვეული პერსონალი ხელმოწერით ადასტურებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით სტანდარტის 4.1 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, პერსონალის დატვირთვაში მკაფიოდ უნდა აისახოს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები. ის დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძვლითა და მისი გამომწვევი გარემოებებით.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ადგილობრივი ექსპერტის ინიციატივით შემუშავდა. მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული და არ აისახებოდა აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. შესაბამისად, რეკომენდაცია გაიცა საკონსულტაციო საათების მკაფიოდ განსაზღვრისა და სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი აფილირებისა და შრომის ანაზღაურების წესით ცენტრალიზებულად არის განსაზღვრული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ვალდებულებები სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აკადემიური პერსონალი ვალდებულია, კვირაში ოთხი საათი დაუთმოს სტუდენტებთან კონსულტაციებს, ხოლო მოწვეული პერსონალი ორი საათი. მისი თქმით, ყოველი სემესტრის დაწყებამდე შესაბამისი ფაკულტეტი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს საკონსულტაციო შეხვედრების განრიგს, რომელშიც მითითებულია შეხვედრების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალი, აუდიტორია და შესაბამისი დრო. აღნიშნული პროცესის მონიტორინგს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ელექტრონული პორტალის მეშვეობით ახორციელებს.
საბჭოს წევრმა ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მშენებლობის სფერო მჭიდროდ არის დაკავშირებული ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებასთან. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი „საშენი მასალების“ სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია ბეტონისა და ბეტონის დანამატების შესწავლა. მისი განმარტებით,

სხვადასხვა სახის დანამატი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შენობების აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროცესშიც, ამასთან, აღნიშნული მასალები შესაძლოა ინოვაციურ ტექნოლოგიებსაც მოიცავდეს. შესაბამისად, იგი დაინტერესდა აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით რეკომენდაციის გაცემის საფუძვლით. ამასთან, საბჭოს წევრი შეეხო მესამე რეკომენდაციას, რომელიც კმაყოფილების კვლევის შედეგებს უკავშირდებოდა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კმაყოფილების კვლევის მხოლოდ ზოგადი შედეგები იყო ასახული. თუმცა, მისი განმარტებით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი დიაგრამაც, რომლის მიხედვითაც, კვლევის შედეგების 86% დადებით შეფასებაზე მიუთითებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად იყო აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციის შემუშავებისას. საბჭოს წევრი ასევე შეეხო რეკომენდაციას, რომელიც სტაჟირების კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულო კომპონენტში გადატანას ითვალისწინებდა და რომელსაც დაწესებულება დაეთანხმა. მან აღნიშნა, რომ სტაჟირების კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამაში საკმაოდ ვრცლად იყო წარმოდგენილი, ხოლო მისი განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები და არა ხელშეკრულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იყო სტაჟირების კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კომპონენტად განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი კმაყოფილების კვლევებს დამოუკიდებლად ახორციელებს. ამასთან, კვლევის შედეგები ყოველწლიურად განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, სადაც ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება, რომლებიც შემდგომ ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე მტკიცდება. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ახორციელებს კვლევებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების შესწავლის მიზნით. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უნდა იყოს კონკრეტული და გაზომვადი, რათა შესაძლებელი გახდეს მისი შესრულების ობიექტური შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტი სამომავლოდ გეგმავს ხელშეკრულებების გაფორმებას იმ კომპანიებთან, რომლებთანაც ამჟამად მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული. მისი თქმით, აღნიშნული კომპანიები თავად არიან დაინტერესებული სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვით, ვინაიდან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. რაც შეეხება სტაჟირების კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კომპონენტად განსაზღვრას, გაიოზ ფარცხალაძემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპზე აღნიშნული კომპონენტის სავალდებულო ნაწილში გათვალისწინება საჭიროდ არ იქნა მიჩნეული. შესაბამისად, სასწავლო კურსების განაწილებისას სტაჟირება არჩევით კომპონენტში აისახა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციური მიდგომების დანერგვას და საგანმანათლებლო პროგრამის ერთ - ერთ ძირითად მიზანს სტუდენტებში ინოვაციური აზროვნების უნარის განვითარება წარმოადგენს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა აღნიშნულ საკითხზე დამატებითი განმარტებების გაკეთება. ამასთან, მან ექსპერტთა ჯგუფს მიმართა თხოვნით, უფრო დეტალურად განემარტა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძვლები და მასთან დაკავშირებული პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ განმარტა, რომ შენობა - ნაგებობების ზღვრული მდგომარეობების მეთოდით გაანგარიშებისას აუცილებელია მათი სიმტკიცის, მდგრადობისა და ესთეტიკური მახასიათებლების გათვალისწინება.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია უკავშირდებოდა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და მათი მიღწევის შესაძლებლობებს შორის თანმიმდევრულობისა და შესაბამისობის უზრუნველყოფას. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებდა ესთეტიკური ასპექტების მნიშვნელობას, თუმცა ძირითადი საკითხი ეხებოდა იმას, რამდენად უზრუნველყოფდა პროგრამის შინაარსი შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას. კერძოდ, აღნიშნულ საკითხს პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ორი საათი ეთმობოდა, რამაც ექსპერტთა ჯგუფში გააჩინა კითხვა, რამდენად საკმარისი იყო აღნიშნული დრო სტუდენტებისთვის შესაბამისი ცოდნის მისაცემად. მისი თქმით, ანალოგიური საკითხი გამოიკვეთა ინოვაციების მიმართულებითაც. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, სასწავლო კომპონენტების შინაარსსა და სტუდენტების მიერ მისაღწევ შედეგებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები მარტივად შესასრულებელი და მართვადია და მათი ძირითადი მიზანი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებაა. მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა ყველა დაინტერესებულმა მხარემ ერთობლივად განიხილოს არსებული საკითხები, გამართოს სამუშაო შეხვედრები, შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები და განსაზღვროს პროგრამის გაუმჯობესების გზები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ დამატებით განმარტა, რომ პროგრამის შემუშავებისას ესთეტიკური ასპექტების ცალკე სასწავლო კურსად გამოყოფის აუცილებლობა არ გამოკვეთილა, ვინაიდან აღნიშნული საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა სასწავლო კურსში და მათ შესწავლას მხოლოდ ორი საათი არ ეთმობა. მისი თქმით, სტუდენტები მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს შემდგომ საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში იყენებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ თითოეული სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ინდივიდუალურად ამზადებს, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ შესაბამისი დავალებების დამოუკიდებლად შესრულებისა და ინდივიდუალური ცოდნისა და უნარების შეფასების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, ვაჟა კელიხაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს რამდენიმე კითხვით მიმართა. თავდაპირველად იგი შეეხო 3.1 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას უკავშირდებოდა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში გამართულ ინტერვიუებში, სავარაუდოდ, ძირითადად ქართულენოვანი სტუდენტები მონაწილეობდნენ. ამასთან, ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო ინგლისურენოვანი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობა, მაშინ როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვოდა შესაბამისი შიდამარეგულირებელი დოკუმენტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა გარემოებებს დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციის გაცემისას. ვაჟა კელიხაშვილის მომდევნო კითხვა შეეხებოდა მე-16 რეკომენდაციას, რომელიც პერსონალის პროფესიულ განვითარებას უკავშირდებოდა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის აღწერით-ანალიტიკურ ნაწილში მითითებული იყო პერსონალის გადამზადების მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება, თუმცა ამავე დროს ექსპერტები ადასტურებდნენ,

რომ უნივერსიტეტი მუდმივად უჭერს მხარს პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებაში. ამასთან, დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჰქონდა არგუმენტირებული პოზიციაც. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რეკომენდაციის გაცემის კონკრეტული საფუძვლებით.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც აქვს გადადგმული. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში შესაბამისი საკითხების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ცალკეული შიდამარეგულირებელი დოკუმენტები ჯერ კიდევ არ იყო ნათარგმნი ინგლისურ ენაზე, რაც ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა. რაც შეეხება პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ფილიპ ბუილარმა აღნიშნა, რომ საკითხი უკავშირდებოდა კულტურულ ასპექტებსა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მიზნით ტრენინგების ჩატარების საჭიროებას. მისი განმარტებით, აღნიშნული მიმართულება საჭიროებს დამატებით ყურადღებასა და განვითარებას. მან ასევე ხაზი გაუსვა გუნდური მუშაობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი მრავალი ათწლეულის განმავლობაში აქტიური განხილვის საგანია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინჟინრო სფეროში.

საბჭოს წევრი, ვაჟა კელიხაშვილი დაუბრუნდა ინგლისურენოვანი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხს და დაინტერესდა, მოითხოვა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის მიმდინარეობისას იმ დოკუმენტების წარმოდგენა, რომელთა ინგლისურ ენაზე თარგმნის საჭიროებაც დასკვნაში იყო მითითებული. ფილიპ ბუილარმა განმარტა, რომ აღნიშნული გარემოება ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუებისა და შესაბამისი საკითხების განხილვის პროცესში გამოიკვეთა. ვაჟა კელიხაშვილი ასევე შეეხო მე-10 რეკომენდაციას, რომლის თანახმად, სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან. მან აღნიშნა, რომ სილაბუსების ძირითადი მომხმარებლები სტუდენტები არიან და დაინტერესდა, კონკრეტულად რომელ მოთხოვნას ან გარემოებას ეფუძნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკეული მარეგულირებელი მოთხოვნა არ არსებობს.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ სწავლის შედეგების განსაზღვრა და მათი მიღწევის შეფასება კომპლექსური პროცესია. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი ზოგადად იზიარებდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პროგრამის სწავლის შედეგებს და დადებითად აფასებდა ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოს. თუმცა, შემდგომ ეტაპზე, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთშედარებისას, გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობები. მისი განმარტებით, რეკომენდაციის მიზანი სწორედ აღნიშნული შეუსაბამობების აღმოფხვრა და სასწავლო კურსების შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან თანმიმდევრული შესაბამისობის უზრუნველყოფაა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული არ გულისხმობს სილაბუსების სრულად გადამუშავებას. მნიშვნელოვანია, თითოეული სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს სილაბუსში შესაბამისი საკითხების მკაფიოდ და სწორად ასახვა, რათა ნათლად გამოიკვეთოს სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან. ვაჟა კელიხაშვილი ასევე შეეხო 22-ე რეკომენდაციას, რომელიც აკადემიური პერსონალის სხვადასხვა პროექტში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი დეპარტამენტის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ასახული იყო აკადემიური პერსონალის პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობის კონკრეტული მექანიზმები და

განხორციელებული ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად რელევანტური იყო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში მსგავსი რეკომენდაციის გაცემა და რა გარემოებებმა განაპირობა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნის აუცილებლობა. საბჭოს წევრის მომდევნო კითხვა შეეხებოდა მე-4 რეკომენდაციას, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ცხრილის მონიტორინგს უკავშირდებოდა. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დასკვნის აღწერით - ანალიტიკურ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით იყენებდა ფორმულირებას „სასურველია“, რაც, მისი შეფასებით, რეკომენდაციის შინაარსს გარკვეულწილად ბუნდოვანს ხდიდა, განსაკუთრებით მის მეორე ნაწილში. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, რამდენად ახორციელებდა უნივერსიტეტი აღნიშნულ საქმიანობას და რამდენად გამომდინარეობდა რეკომენდაცია უშუალოდ აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებიდან. ამასთან, საბჭოს წევრმა დასვა კითხვა, თუ აღნიშნული საკითხი პროგრამის შემდგომ განვითარებას ემსახურებოდა და არ უკავშირდებოდა სტანდარტის მოთხოვნის შეუსრულებლობას, რატომ იყო იგი ფორმულირებული რეკომენდაციის სახით და არა რჩევად.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია მათი კვლევითი საქმიანობის აქტიური მხარდაჭერა და შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფა. მისი თქმით, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა თავდაპირველად უნივერსიტეტს შესაბამისი დეპარტამენტის შექმნის რეკომენდაციით მიმართა, დაწესებულებისგან მიიღო განმარტება, რომ მსგავსი სტრუქტურული ერთეული უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებდა. შესაბამისად, რეკომენდაციის ფორმულირება შეიცვალა, რაც განპირობებული იყო ვიზიტის ფარგლებში გამართულ ინტერვიუებზე აკადემიური პერსონალის მიერ კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესებისა და გაძლიერების საჭიროების გამოკვეთით. მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭო რეკომენდაციების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

საერთაშორისო ექსპერტი ასევე შეეხო სწავლის შედეგების შეფასების საკითხს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო კურსებისა და სწავლების მეთოდების ურთიერთშედარების პრაქტიკა, რაც პროგრამის შეფასების დონეზე დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ იქნეს თითოეული სასწავლო კურსის დონეზეც. კერძოდ, აუცილებელია, სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს მუდმივად მიეწოდებოდეს შესაბამისი ინფორმაცია და წახალისდეს მათ მიერ სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობის შეფასება.

საბჭოს წევრმა, მაია ბარბაქაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში გამოთქმულია მოსაზრება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების თაობაზე, კერძოდ, რამდენად შეძლებს პროგრამაში ჩართული პერსონალი სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სათანადო ხარისხით განხორციელებას. მან ხაზი გაუსვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აკადემიური პერსონალის კომპეტენციას, ვინაიდან, მიუხედავად პროგრამის შინაარსობრივი გამართულობისა, მისი წარმატებით განხორციელება უშუალოდ პროფესორ - მასწავლებლების კვალიფიკაციასა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავდა უნივერსიტეტი აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ განმარტა, რომ სამოქალაქო ინჟინერია მრავალმხრივი სფეროა, რომელიც სხვადასხვა სპეციალიზაციას აერთიანებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორები, რომლებიც შესაბამისი მიმართულებების სპეციალისტები არიან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ინსტიტუციურ დონეზე მოწესრიგებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური პერსონალის ჩართულობის საკითხი და წინასწარ განსაზღვრულია იმ სპეციალისტთა წრე, რომლებმაც პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მზადყოფნა დაადასტურეს. ამასთან, მისი განმარტებით, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტი გეგმავს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებას, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოზიდვასა და აკადემიური პერსონალის ბაზის გაფართოებას.

საბჭოს წევრმა, ფრიდონ გოგიაშვილმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაზე. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პირი, რომელთაგან 14 მოწვეული პერსონალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის დაინტერესდა, უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი კონკურსების ფარგლებში გათვალისწინებული იყო თუ არა ძირითადი და აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, თუ დაწესებულება კვლავ უმეტესად მოწვეული სპეციალისტების ჩართულობაზე იქნებოდა ორიენტირებული. ამასთან, ფრიდონ გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში, შენობა - ნაგებობების მიმართულებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, რამდენად იყო აღნიშნული მიმართულება გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამაში და მონაწილეობდნენ თუ არა მის განხორციელებაში შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აფილირებისა და შრომის ანაზღაურების წესი, რომლის თანახმად, კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი ვალდებულია, აფილირებული იყოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. შესაბამისად, დაგეგმილი კონკურსების ფარგლებში უნივერსიტეტი შეარჩევს აკადემიურ პერსონალს, რომელიც დაწესებულებასთან აფილირების ვალდებულებას აიღებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო ინჟინერია ქვეყნის განვითარებისთვის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. მისი განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით შემუშავებულია არაერთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა ეფექტიანი განხორციელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას. მან ხაზი გაუსვა, რომ ფაკულტეტის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება წარმოადგენს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:41
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოსაზრების და ზეპირი განხილვების საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

• სტანდარტის 1.3 კომპონენტში გაცემული მე-2 რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ცხრილის სათანადო მონიტორინგი და შემოწმდეს, სხვა სასწავლო კურსებშიც გამოიყენება თუ არა მსგავსი ფორმატები.“ საბჭომ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: „სასურველია, განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ცხრილის სათანადო მონიტორინგი და შემოწმდეს, სხვა სასწავლო კურსებშიც გამოიყენება თუ არა მსგავსი ფორმატები".
• სტანდარტის 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები: 1. „რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან „ესთეტიკური“ ასპექტის ამოღება, ვინაიდან იგი მხოლოდ ერთხელ, 2-საათიან სემინართან მიმართებითაა ნახსენები, ან გაძლიერდეს შესაბამისი სასწავლო აქტივობები.“ 2. „რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან „ინოვაციის“ ასპექტის ამოღება, ვინაიდან იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული საკურსო პროექტში და პროგრამის სხვა კომპონენტებში, კვლევითი მიმართულებით სწავლება ნათლად არ იკვეთება, ან აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით, თანმიმდევრული და მკაფიო სასწავლო აქტივობების შეთავაზება.“ საბჭომ არ გაიზიარა და ამოიღო. შედეგად, სტანდარტის 1.4 კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც, "შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".

ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია მთლიანი პირველი სტანდარტის შეფასებაზე.

• 2.3 კომპონენტში გაცემული მე-3 რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რომ სწავლება-სწავლის ან შეფასების მეთოდების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნას სტუდენტთა კულტურული და/ან სხვა საჭიროებები.“ საბჭომ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: „სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რომ სწავლება-სწავლის ან შეფასების მეთოდების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნას სტუდენტთა კულტურული და/ან სხვა საჭიროებები.“

• 4.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, შემუშავდეს პერსონალის კვლევითი პორტფოლიოს გაზრდის და მხარდაჭერის ადეკვატური პოლიტიკა.“ საბჭომ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: „სასურველია, შემუშავდეს პერსონალის კვლევითი პორტფოლიოს გაზრდის და მხარდაჭერის ადეკვატური პოლიტიკა.“ ხოლო რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, პერსონალის დატვირთვაში მკაფიოდ აისახოს სტუდენტთა საკონსულტაციო საათები.“ საბჭომ არ გაიზიარა და ამოიღო, შედეგად 4.1. კომპონენტი, ნაცვლად, "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან",

ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია მთლიანი მე - 4 სტანდარტის საერთო შეფასებაზე.

• 5.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გაძლიერდეს ხარისხის კულტურა დაინტერესებულ მხარეებთან არსებული მექანიზმების გაზიარებით და არსებული წესების სრულად დანერგვით, რაც ხელს შეუწყობს თვითშეფასების პროცესში გამოწვევების გამოვლენასა და პრევენციას.“ საბჭომ გადაიტანა რჩევაში შემდეგი ფორმულირებით: „სასურველია, უნივერსიტეტში გაძლიერდეს ხარისხის კულტურა დაინტერესებულ მხარეებთან არსებული მექანიზმების გაზიარებით და არსებული წესების სრულად დანერგვით, რაც ხელს შეუწყობს თვითშეფასების პროცესში გამოწვევების გამოვლენასა და პრევენციას.“ შედეგად, 5.1 კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჭენ უნივერსიტეტის „მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი
3. **სწავლების ენა** - ქართული
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
6. **კრედიტი** - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მე-4 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა, ადრიან ჯონ ჩაპლინ ჰედლენდმა - (Adrian John Chaplin Hadland) აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია ორი წლის წინ გაიარა და დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა ორწლიანი ვადა. მისი განმარტებით, 30 ივლისს განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა წინა აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი საკითხები და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. საერთო შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა სამი რეკომენდაცია, რომელთაგან ორი დაწესებულებამ გაიზიარა, ხოლო ერთთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია წარმოადგინა. კერძოდ, უნივერსიტეტი დაეთანხმა რეკომენდაციას, რომელიც ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების რუბრიკების დამატებას ითვალისწინებდა. დაწესებულებამ ასევე გაიზიარა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რომელიც პლაგიატის პრევენციასა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს უკავშირდებოდა, დაწესებულებამ აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის მიმდინარეობისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ პლაგიატის არსისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. თუმცა, სტუდენტებთან გამართული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობა სათანადოდ არ ფლობდა აღნიშნულ ინფორმაციას და მხოლოდ რამდენიმე სტუდენტს შეეძლო პლაგიატის მნიშვნელობის განმარტება. მისი თქმით, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარების პირობებში აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა და პლაგიატის პრევენცია დამატებით გამოწვევებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა. ამასთან, უნივერსიტეტმა წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ დაწესებულებაში უკვე მოქმედებს პლაგიატის პრევენციისა და გამოვლენის შესაბამისი მექანიზმები. საერთაშორისო ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია საგანმანათლებლო პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის ინტეგრირება და სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათების მკაფიოდ განსაზღვრა. გარდა ამისა, რჩევის სახით გამოიკვეთა პროგრამის განხორციელებაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდის საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსაზრება:

"ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი მადლობას მოახსენებს ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. პროგრამის გუნდისთვის მნიშვნელოვანია გარე შეფასების პროცესში მიღებული ის რეკომენდაციები თუ რჩევები, რომლებიც ორიენტირებულია პროგრამის უწყვეტ განვითარებაზე.
პროგრამის გუნდი მზად არის, გაითვალისწინოს ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაციები:
● რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს შეფასების დეტალური რუბრიკები და ამომწურავი ინფორმაცია შეფასების შესახებ, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას (2.4).
● რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა/ერთეულებმა სისტემატურად და ეფექტიანად განახორციელონ პროგრამისა და სილაბუსების სიღრმისეული ანალიზი, რათა დროულად გამოავლინონ და თავიდან აიცილონ შესაძლო ხარვეზები (5.1).
მართალია პროგრამის გუნდსა და ხარისხის კულტურის კომიტეტს მიაჩნია, რომ სააკრედიტაციო პაკეტში არსებულ სილაბუსებში მოცემულია შეფასების დეტალური კრიტერიუმები, თუმცა, აღვნიშნავთ, რომ ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი გადის რევიზიას ყოველწლიურად. შესაბამისად, სილაბუსების განახლება და სრულყოფა უწყვეტი პროცესია, რომელშიც ჩართულია შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სკოლის წარმომადგენელი ხარისხის კულტურის კომიტეტში. შესაბამისად, უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას სილაბუსების სრულყოფასთან დაკავშირებით. ამასთან, უნივერსიტეტი არ იზიარებს ექსპერტთა შემდეგ რეკომენდაციას:
● რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირებულობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას (2.4).
არგუმენტირებული პოზიცია:
აკრედიტაციის 2.4 სტანდარტის შესაბამისად, „სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი." ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია პლაგიარიზმის საწინააღმდეგო პროგრამა (Turnitin) და დამტკიცებულია პლაგიარიზმთან დაკავშირებული შესაბამისი რეგულაციები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აკრედიტაციის ვიზიტის დროს დაადგინა, რომ შეხვედრებში მონაწილე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ შეეძლოთ შესაბამისი განმარტებების მიცემა პლაგიარიზმის მნიშვნელობასა და უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. ამიტომ, რეკომენდებულია, რომ სასწავლო პროცესში გაუმჯობესდეს სტუდენტების ცნობიერება პლაგიარიზმისა და შესაბამისი რეგულაციების შესახებ."
უნივერსიტეტი სრულად იზიარებს აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობას და მუდმივად ზრუნავს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებაზე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია ეთიკის წესების გზამკვლევი, ხოლო პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია ასახულია სტუდენტის გზამკვლევშიც, რომელიც სტუდენტებს ელექტრონული ფორმით მიეწოდებათ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე. ამასთანავე, აკადემიური ეთიკისა და პლაგიატის საკითხებს სტუდენტები კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში შეისწავლიან, რაც ხელს უწყობს მათ მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გააზრებასა და კვლევითი საქმიანობისას შესაბამისი მოთხოვნების დაცვას.

უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც პრაქტიკაში თანმიმდევრულად ხორციელდება. შესაბამისად, ცალკეული სტუდენტების მიერ პლაგიატის ცნების განმარტების სირთულე, დამატებითი მტკიცებულებების გარეშე, ვერ ჩაითვლება უნივერსიტეტში არსებული პროცესებისა და მექანიზმების არასაკმარისობის დამადასტურებელ გარემოებად.
უსდ არ არის წინააღმდეგი გაატაროს დამატებითი ღონისძიებები სტუდენტთა ინფორმირებულობის კიდევ უფრო გაზრდისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ მათი ცოდნის გაღრმავების მიზნით, თუმცა ამავდროულად მიიჩნევს, რომ ცალკეული სტუდენტების მიერ კონკრეტული ტერმინის განმარტების სირთულე არ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს 2.4 სტანდარტის კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, პროცედურები და პრევენციული მექანიზმები შემუშავებული და დანერგილია და მათი პრაქტიკული განხორციელებაც უზრუნველყოფილია.
შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია საჭიროებს გადახედვას, და განხილული უნდა იქნას როგორც რჩევა, ვინაიდან წარმოდგენილი არგუმენტაცია არ ადასტურებს 2.4 სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დარღვევას ან უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის მექანიზმების სისტემურ ხარვეზს."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ჭალაგანიძე დაწესებულების წარმომადგენლებს რამდენიმე კითხვით მიმართა. თავდაპირველად იგი დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე, ხოლო დარგობრივ კომპონენტში მითითებულია B2 დონე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა პროგრამა სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის B1 დონიდან B2 დონემდე განვითარებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უცხო ენის შესწავლას პროგრამაში მხოლოდ 6 კრედიტი ეთმობა. ამასთან, საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა და რა მექანიზმებით უზრუნველყოფდა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რეგულირებას სტუდენტების მიერ სასწავლო და აკადემიური ნაშრომების მომზადების პროცესში.
საბჭოს წევრის მომდევნო კითხვა შეეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ურთიერთშესაბამისობას. მან აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელებაა „მულტიმედია ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია“, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი პროგრამის დასახელებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შინაარსობრივი შესაბამისობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი დებულება, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, სტუდენტებისთვის. ამასთან, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც ასახულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხები. მისი განმარტებით, სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, შესაბამის სილაბუსებში განსაზღვროს, რა მოცულობითა და რა პირობებით არის დასაშვები ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. რაც შეეხება პლაგიატის გამოვლენის მექანიზმებს,

უნივერსიტეტში დანერგილია პლაგიატის შემოწმების ელექტრონული სისტემა Turnitin, რომელზე წვდომაც უნივერსიტეტის ყველა სკოლას აქვს. ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ ინგლისურ ენაზე ორი სასწავლო კურსის სავალდებულო გავლა. შესაბამისად, სტუდენტებს სწავლის პროცესშივე ეძლევათ შესაძლებლობა, განივითაროონ და გაიღრმაონ ინგლისური ენის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხზე უნივერსიტეტი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. მისი განმარტებით, აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფმაც შეისწავლა და დაადასტურა, რომ პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

ექსპერტმა, დალი ოსეფაშვილმა დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ექსპერტმა, ნინო ღაჭავამ განმარტა, რომ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაცემის ძირითადი საფუძველი სტუდენტებთან გამართული ინტერვიუების შედეგები გახდა. კერძოდ, სტუდენტებმა ვერ შეძლეს პლაგიატთან დაკავშირებულ შინაარსობრივ კითხვებზე სათანადო პასუხების გაცემა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა მაისურაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ზოგადად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, თუმცა მიაჩნია, რომ პლაგიატთან დაკავშირებული რეკომენდაცია მიზანშეწონილია განისაზღვროს რჩევის სახით. მისი განმარტებით, ინტერვიუებში მონაწილე სტუდენტები სწავლის პირველ ეტაპზე იმყოფებოდნენ, რის გამოც მათ ვერ შეძლეს აღნიშნულ საკითხზე სიღრმისეული პასუხების გაცემა. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს რეკომენდაციის გაცემის საკმარის საფუძველს.

საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევაზე, რომლის თანახმად, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის ან სტაჟირების კომპონენტი გათვალისწინებული იყოს, სულ მცირე, არჩევითი კომპონენტის სახით. მან აღნიშნა, რომ პროგრამით განსაზღვრულია რვა სწავლის შედეგი, რომელთაგან სამი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სფეროს უკავშირდება. მისი განმარტებით, აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა მნიშვნელოვანწილად პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ განისაზღვრა აღნიშნული საკითხი რჩევის და არა რეკომენდაციის სახით.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას უკვე აქვს მჭიდრო კავშირი შესაბამის ინდუსტრიასთან, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის ან სტაჟირების კომპონენტის პროგრამაში ინტეგრირების საკითხი რჩევის სახით წარმოადგინა. ექსპერტმა, დალი ოსეფაშვილმა დამატებით განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პრაქტიკული ხასიათის არაერთ სასწავლო კურსს. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პერსონალი, რომელსაც მჭიდრო პროფესიული კავშირები აქვს შესაბამის ინდუსტრიასთან. მისი თქმით, პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმებული აქვს მრავალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:42
დასრულების დრო: 16:48

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/07/2028).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 27 ოქტომბერს. საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების შუამდგომლობა და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 27 ოქტომბერს.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - "განათლების მეცნიერებები"
2. **საფეხური** - მაგისტრატურა
3. **სწავლების ენა** - ქართული
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - განათლების მეცნიერების მაგისტრი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** განათლების მეცნიერება 0111

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადეს - პეტრე ბაბილუამ, შალვა კელაპტრიშვილმა, ქეთევან აფთარაშვილმა, თამარ მერაბიშვილმა და მარიამ ხოფერიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული იყო ექვსი რეკომენდაცია, რომელთაგან ოთხი სრულად შესრულდა, ერთი მეტწილად შესრულებულად შეფასდა, ხოლო ერთი რეკომენდაციის შესრულების შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ მოხერხდა. მისი განმარტებით, პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა აკადემიური წერის დამოუკიდებელ სასწავლო კურსად ჩამოყალიბებას. თუმცა, უნივერსიტეტმა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა აირჩია და აკადემიური წერის საკითხები უკვე არსებული სამაგისტრო საფეხურის სასწავლო კურსის სილაბუსში გააერთიანა. შედეგად, აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში ორივე მიმართულებით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა უზრუნველყოფილია. რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შესაბამისი საკითხების მოწესრიგების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში დაამატა ინგლისური ენის B1 და B2 დონეები. მესამე რეკომენდაცია შეეხებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულ ფორმულირებებს, კერძოდ, ცალკეულ სილაბუსებში მითითებული იყო „დაწერა“ და არა „კვლევა“. მისი განმარტებით, უნივერსიტეტმა აღნიშნული უზუსტობა გამოასწორა წარმოდგენილ ორ სილაბუსში. თუმცა, ექსპერტს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებს, რის გამოც ვერ მოხერხდა იმის დადგენა, რამდენად სრულყოფილად იყო აღნიშნული ცვლილება განხორციელებული დანარჩენ სილაბუსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჭკუასელმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერის კომპონენტი საკმაოდ მოცულობითია და მისი შინაარსობრივი საკითხები სხვადასხვა სასწავლო კურსშია ინტეგრირებული. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის კომპონენტი რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში გააძლიერა. რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის საკითხებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ქეთევან ჭკუასელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსი სახელწოდებით „ტექნოლოგიები“, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან

დაკავშირებულ ოთხ ძირითად თემას მოიცავდა. რეკომენდაციის გათვალისწინებით, აღნიშნულ სასწავლო კურსს დაემატა სამი ახალი თემა და შეიცვალა მისი სახელწოდებაც. ინგლისური ენის ცოდნის დონეებთან დაკავშირებით ქეთევან ჭკუასელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში B1 და B2 დონეების მითითება ტექნიკური შეცდომით იყო განპირობებული. შესაბამისად, აღნიშნული უზუსტობა გასწორდა და პროგრამაში მითითებულია ინგლისური ენის B1 დონე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაქარია ქიტიაშვილმა განმარტა, რომ მომდევნო რეკომენდაცია სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებულ ტერმინოლოგიურ უზუსტობას უკავშირდებოდა. მისი თქმით, სტუდენტთა დასწრება არც მანამდე იყო განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმად, თუმცა სილაბუსებში გამოყენებული ფორმულირება შესაძლოა სტუდენტებისთვის შეცდომაში შემყვანი ყოფილიყო. შესაბამისად, აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრისა და სტუდენტებისთვის ინფორმაციის მკაფიოდ მიწოდების მიზნით, სილაბუსებში შესაბამისი ტერმინოლოგია დაზუსტდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს დამატებითი მოსაზრებები არ გამოუთქვამთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:01
დასრულების დრო: 17:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მაგისტრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მულტილინგვური განათლება - დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. საფეხური - ინტეგირებული საბაკალავრო - სამაგისტრო
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/ I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური /აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებელი; დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი)
5. დეტალური სფეროს კოდი - 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა პეტრე ბაბილუამ, შალვა კელაპტრიშვილმა, ქეთევან აფთარაშვილმა, თამარ მერაბიშვილმა, მარიამ ხოფერიამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მე-6 და მე-7 საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია ორივე პროგრამასთან მიმართებით სრულად არის შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს დამატებითი მოსაზრებები არ გამოუთქვამთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:11
დასრულების დრო: 17:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული" საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მერვე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - განათლების მეცნიერებები
2. საფეხური - დოქტორანტურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მეცნიერების დოქტორი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0111 განათლების მეცნიერება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა პეტრე ბაბილუამ, შალვა კელაპტრიშვილმა, ქეთევან აფთარაშვილმა, თამარ მერაბიშვილმა, მარიამ ხოფერიამ, ლევან შავაძემ, ფრიდონ გოგიაშვილმა, ინგა დიასამიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ნინო ხოლუაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-8 საკითხი განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული იყო შვიდი რეკომენდაცია, რომელთაგან ყველა სრულად შესრულდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს დამატებითი მოსაზრებები არ გამოუთქვამთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:18
დასრულების დრო: 17:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეცხრე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ამერიკისმცოდნეობა
2. საფეხური - დოქტორანტურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ამერიკისმცოდნეობის დოქტორი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0388 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
6. კრედიტი - 40

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა პეტრე ბაბილუამ, შალვა კელაპტრიშვილმა, ქეთევან აფთარაშვილმა, თამარ მერაბიშვილმა, მარიამ ხოფერიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ლევან შავაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-9 საკითხი განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის პირველ და მეორე სტანდარტებთან, ასევე მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტებთან. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამა საერთო ჯამში დადებითად შეფასდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა სამი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციის დადასტურებას, კერძოდ, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული არანაკლებ ერთი სამეცნიერო სტატიით. მეორე რეკომენდაცია უკავშირდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, ხოლო მესამე - დოქტორანტებისა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობრივ თანაფარდობას. ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი და მეორე სტანდარტების მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა დადასტურდა, ხოლო გამოვლენილი გასაუმჯობესებელი საკითხები მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, სამივე რეკომენდაცია აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში გაიცა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დეტალურად გაეცნო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ შესახებ ექსპერტთა დასკვნის პროექტს. მისი განმარტებით, დასკვნის პროექტი განიხილა პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა.უნივერსიტეტმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული საქმიანობისთვის, კოლეგიალური თანამშრომლობისა და საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასებისთვის.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობასთან

დაკავშირებული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტმა დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოადგინა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბოლო ხუთი წლის დარგობრივი სამეცნიერო პუბლიკაციების სია.

დოქტორანტებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის განახლებული ჩარჩოდოკუმენტის მიღებისა და საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების მასთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ უნივერსიტეტმა განსაზღვრა შესაბამისი შეზღუდვა, რომლის მიზანია დოქტორანტების ჭარბი რაოდენობის ეტაპობრივი ოპტიმიზაცია. კერძოდ, სამეცნიერო ხელმძღვანელს აღარ აქვს ახალი დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლება, ვიდრე მის ხელმძღვანელობაში მყოფი დოქტორანტების რაოდენობა არ შემცირდება დადგენილ ნორმამდე. მისი განმარტებით, აღნიშნული თანაფარდობის მოწესრიგება ეტაპობრივად განხორციელდება, ერთი მხრივ, მოქმედი დოქტორანტების მიერ სადოქტორო ნაშრომების დაცვის, ხოლო მეორე მხრივ, სტატუსშეჩერებული დოქტორანტების რაოდენობის ეტაპობრივი შემცირების შედეგად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაია ბარბაქაძემ ექსპერტს მიმართა კითხვით დოქტორანტებისა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი დაინტერესდა, რამდენი დოქტორანტის ხელმძღვანელობას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ ერთ კონკრეტულ სამეცნიერო ხელმძღვანელზე ხუთი დოქტორანტი მოდიოდა, რაც, მისი შეფასებით, საკმაოდ მაღალი დატვირთვაა.

საბჭოს თავმჯდომარე, ლევან შავაძე დაინტერესდა პირველი რეკომენდაციის გაცემის საფუძვლით, რომელიც პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობას უკავშირდებოდა. ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ზოგიერთ პირს არ უფიქსირდებოდა სამეცნიერო პუბლიკაციები. თუმცა, მისი თქმით, აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმ გარემოებითაც, რომ დაწესებულებამ დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყო შესაბამისი დოკუმენტაციის სრულყოფილად შეგროვება და წარმოდგენა.

საბჭოს წევრი, მაია ბარბაქაძე ასევე დაინტერესდა, ითვალისწინებდა თუ არა უნივერსიტეტში მოქმედი წესი დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობისთვის დამატებით ანაზღაურებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა პროფესორის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებში შედის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:32
დასრულების დრო: 17:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული

ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ "ამერიკისმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ხოლუაშვილი ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე